



ორგანო სსრკ-სთვის. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.

Organe du Bureau à l'Étranger du parti Social-démocrate de Géorgie.

832

1953

რვაენი

ფრთვა

“ NOTRE DRAPEAU ”

Directeur: MICHEL STOUROUA.


N° 13

პარიზი

თებერვალი

Paris.

1953



1868 — 1953

დაოჯღღამი

ამ წლის თერთმეტ იანვარს უეცრათ გარდაიცვალა და თუთხმეტს—მისი დაბადების სწორეთ 85 წლის თავზე—საფრანგეთის მიწას მივაბარეთ ნოე უორდანი:

ერის წინამძღოლი, ჩვენი ბელადი...

ულრმეს მწუხარებას მოჰყენეს ეს ამბავი ჩვენს ქვეყანას და მთელ მსოფლიოში გაფანტულს ქართველ ემიგრაციას; ქართველი ხალხის ნაღვლით და გლოვით აღსავსე კენესა ზეცას მისწვდება ამ ამბის გაგონებაზე, საშვალეა ამის რომ არსებობდეს.

გლოვის ზარმა დარეკა!...

აღარ არის ის, ვინც სამოცი წლის განმავლობაში ქართველი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე იდგა და მედგრათ იცავდა იმას. სხვა საქმე, გარეშე ხალხის სამსახურისა, მას არასდროს ჰქონებია თავის ხანგრძლივ ცხოვრების მანძილზე. დადუმდა ენა უსამართლობის მამხილებელი და მჩაგვრელთა წინააღმდეგ მუდამ მეტყველი.

ქართულ მწერლობას მოსწყდა მისი დამამშვენებელი. ძლიერი და საუკეთესო კალამი.

დაობლდა ერი...

ნახევარ საუკუნეზე მეტი ნოე უორდანიას უსმენდა ქართველი ხალხი და მის რჩევას და მის მიერ ნაჩვენებ ზნას მიყვებოდა იგი.

მას ჩააბარა ქართველმა ერმა დროშა თავისუფლების, დროშა გაერთიანებულ დამოუკიდებელ საქართველოსი; რადგან, ქართველი ერი ღრმით იყო დარწმუნებული, რომ ნოე უორდანიას ამ დროშას ძირს არ დაუშვებდა და მისთვის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდის იბრძოლებდა.

მან პირნათლათ შეასრულა ეს დავალება. ნოე უორდანიამ მიიტანა საქართველოს საკითხი ყოველგან, სადაც საჭირო იყო და მას მიესვლებოდა ამ საკითხის გასაცნობათ და დასაცავათ.

მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ნოე უორდანიას დაუღალავი იყო, საქართველოს გათელილ უფლებების აღდგენის უკომპრომისო დამცველი.

იგი—დიდი დემოკრატი და დიდი სოციალისტი—დასავლეთ ევროპის კულტურის დიდი პატივისმცემელი იყო. მომხრე და დამცველი დემოკრატიულ წესწყობილების, იგი მუდამ დემოკრატიის ბანაკში იდგა, ყოველთვის საერთაშორისო გართულების ხანაში.

ადამიანის გონებაზე, საზოგადოების აზროვნებაზე ნოე უორდანიას სახეც და გარეგნული გამომეტყველება—ისე, როგორც ის სამართლიანი საქმე, რომელსაც იგი იცავდა,—ყოველთვის ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა. საქართველოს სინამდვილეში იგი მეტად დიდი და საინტერესო პიროვნება იყო. ამიტომ საქართველოს თავისუფლების მტერთა ბანაკში, იმის სახელი შიშს და შურით აღსავსე გრძობებს იწვევდა.



ნოე ქორდანიას მათ ნიშანში ყავდათ ამოღებული, იგი მათ მიერ დასახული იყო, როგორც მტერი პირველი. ამისთვის უსინდისო ჭორების და უნამუსოთ გამოგონილ ამბების ჭუჭყში სვრიდენ ისინი მის სახელს, რათა ეს სახელი ხალხის გულიდან მოეგლიჯათ.

მაგრამ ამათ! ნოე ქორდანიას სიყვარული ქართველ ხალხში ისეთივე ძლიერი იყო, როგორც სიყვარული თავისუფლების: უსახლგრო, შეუდარებელი.

ახლა?... მტრის ბანაკში ახლა სიხარულის დღე დადგა:

ალარ არის ის, ვინც ემბლემა იყო საქართველოს თავისუფლების, ქართველ ერის სუვერენულ უფლებების გამომხატველი, მისი გარედ მაჩვენებელი, იმის ყოველგან და ყოველთვის უებარი დამცველი. უმთავრესი რგოლი მოსწყდა იმ ჯაჭვს, ჩვენ და ჩვენს მომყოლ თაობას დამოუკიდებელ საქართველოსთან რომ აკავშირებდა; საქართველოს დამოუკიდებლობის დროშამ თავი დახარა ნიშნათ ერის დიდი მწუხარებისა.

დიან, დიღია ჩვენი დარდი და მწუხარება!... ამ მწუხარებას დაფარავს მხოლოდ მისი, ნოე ქორდანიას, ანდერძი, მან მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის შინაარსით რომ გვიჩვენა და დაგვიტოვა: სიმტკიცე ქართველი ხალხის უფლებების დაცვაში და სიმაგრე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამისთვის საზოგადოების ფართო წრეების, ქართველ მშრომელ ხალხის აღზრდას და განვითარებას ემყარებოდა იგი: ამ გზით მივალწევთ—ამბობდა თავიდანვე იგი—ერის ნივთიერ, პოლიტიკურ და ნაციონალურ წარმატებასო.

მძიმეა ჩვენი მოვალეობა; მაგრამ მას შევასრულებთ, თუ ჩვენ ვიქნებით ერთად. საქართველოს ყველა სასიცოცხლო ძალების გაერთიანებით ჩვენ შევავსებთ, ოდნავ მაინც, იმ დიდ დანაკლისს, ჩვენ რომ შეგვემთხვა, და კვლავ მალა ავწევთ დღეს გლოვით და მწუხარებით დანაოკებულს, საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობის დროშას. ჩვენთან იქნება ქართველი ხალხი, მთელი ერი, რომლის ნდობა და სიყვარული ნოე ქორდანიას საქმიანობას მუდამ თან ახლდა.

ახლა უფრო, ვინემ ოდესმე, ჩვენ გვჭირია აღმართოთ ერთობის ტახტი ჩვენს ეკლით მოყენილ გზაზე და დავაფუძნოთ იგი თვით ხალხის გულში: ერთი მეორის პატივისცემით, ერთი მეორის გაგებით და სხვადასხვა აზრთა მორიგებით. ამ გზით გავიადვილებთ ჩვენ იმ მძიმე საქმეს და მივალწევთ იმ წმიდა მიზანს, ნოე ქორდანიამ რომ გვიანდერძა.

და როცა, დღეს ციხეთ-ქცულ მრავალ-ტანჯულ საქართველოს გალაგანზე, კვლავ თავისუფლების დროშა აფრიალებდა, მაჰინ კანთავისუფლებული ქართველი ერი გულში ჩაიკრავს, ახლა უცხო ქვეყნის მიწაზე განსვენებულს, თავის უდიდეს შვილს და ღირსეულ ადგილს მიუჩენს იმას საქართველოს დიდ და სახელოვან პიროვნებათა პანთეონში.

პარტიის წინამძღოლი.

საქართველოს სოციალდემოკრატიაშ დაპყარგა მისი დიდი წინამძღოლი, რომელიც მას 28 წელი საქართველოში ხელმძღვანელობდა და 32 წლის განმავლობაში კი მასთან უცხოეთიდან მუდმივ კავშირში იყო.

სწორედ ამ 60 წლის წინ, როცა ნოე ჟორდანიას საზოგადო ასპარეზზე სამოღვაწეოდ გამოვიდა, საშინელი პოლიტიკური რეაქცია სუფევდა. ქართველი ხალხი მიძინებული, მიყუჩებული იყო და არ ინძრეოდა. ამ საშინელ დროს, ამ საერთო დარდლოლობის ხანაში ნოე ჟორდანიას მეთაურობით გაისმა პირველი ხმა პირველი სოციალდემოკრატებისა მიმართული ქართველი ხალხისადმი: შენი ბედი შენ ხელთ არის, შენ თავს შენ უნდა დაეყრდნო და უპატრონო. ეს ჯგუფი შემდეგ მიმართავდა არა მხოლოდ ჩვენი ერის ერთ მცირედ ნაწილს, არამედ ჩვენი მშრომელი ხალხის უმრავლესობას. მას უხსნიდა მდგომარეობას, აგნებებდა მის ნამდვილ ინტერესებს, მას საბრძოლველად რაზმავდა. ეს ჯგუფი თანდათანობით ორგანიზაციულად იზრდებოდა და მაგრდებოდა, მათ შორის დისციპლინა მყარდებოდა, პარტია ყალიბდებოდა.

პარტიის პროგრამის, ტაქტიკის მიმცემი ყოველთვის ნოე ჟორდანიას იყო. მის აზრებს და დავალებებს კი ცხოვრებაში პრაქტიკულად მის გარშემო მყოფი რევოლიუციონერები ატარებდნენ. პარტია მშრომელ ხალხს ეყრდნობოდა, ხალხიც თავის მხრივ მას ენდობოდა და მიყვებოდა. პარტიამ თავი მოუყარა ჩვენი ერის დაქსაქსულ და დაპნეულ ნაწილებს, ის გააერთიანა, პოლიტიკურად დარაზნა, მეფის რეჟიმს დაუპირდაპირა და ბრძოლის ტალღებში ძლიერი ნებისყოფით შევიდა.

ბრძოლის ტალღები ხან წინ მიიწევედა, ხან კი უკან ექანებოდა. ამ ტალღების უკან დაქანებისას, ერის ფიზიკურად გადასარჩენათ და რევოლიუციონური ძალების შესანარჩუნებლად, სტრატეგიულ უკან დახვევასაც ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობდა, შექმნილ კრიზისიდან გამოსავალ გზას და შეცვლილ პირობებში ახალ საბრძოლველ იარაღს ეძებდა.

როცა 1905 წლის რევოლიუციის შემდეგ მთელ რუსეთის იმპერიაში საყოველთაოდ რეაქცია გაბატონდა, რუს რევოლიუციონერებმა აშკარა სამუშაო ასპარეზი მიატოვეს, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს და არალეგალურად მიიმალნენ. ნოე ჟორდანიას სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიღების ტაქტიკა წამოაყენა. ოთხივე სათათბიროში ქართველმა ხალხმა სოციალდემოკრატები გაიყვანა და ამ ლეგალურ ასპარეზიდან მეფის რეჟიმს ნგრევა დაუწყეს.

მეფის რეჟიმის დანგრევის შემდეგ 1917 წლის რევოლუციის ხანებში ქართველი სოციალდემოკრატია ძალზე გაიზარდა. ყველა რევოლუციონურ ორგანიზაციებში საქართველოს, თუ ამიერკავკასიის მაშტაბით ის მომადრავებელი ძალა გახდა. ყველა ამ ორგანიზაციების ტონის მიმცემი და მესაუბრე ნოე ჟორდანიას იყო.

რევოლუციის ხანებში ჩვენში იყო სხვადასხვა მთავრობები: პეტროგრადიდან გამოგზავნილი განსაკუთრებული კომიტეტი, ამიერკავკასიის კომისარიატი, ამიერკავკასიის მთავრობა, მაგრამ ნამდვილი ძლევამოსილი ორგანო იმ დროს იყო ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტი ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. აი ამ კომიტეტში მიდიოდა ყველა—ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, მთიელი, რუსი და სხვები—დიდ, თუ პატარა საკითხების გასარკვევად და გადასაწყვეტათ. ნოე ჟორდანიას ყველასათვის მისაწვდენი და თავდაბალი იყო, ყველას შესაფერის პასუხს აძლევდა და მისი მნახველები მისი შარბით აღვსილნი უკან ბრუნდებოდნენ. იშვიათია პიროვნება, რომელიც ისე პოპულიარული ყოფილიყო არა მხოლოდ თავის ერში, არამედ მესობელ ერებშიდაც, როგორც იმ დროს ნოე ჟორდანიას იყო.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში ქართველი სოციალდემოკრატია გახდა სახელმწიფოს მართველი პარტია და მისი წინამძღოლი პრეზიდენტათ და მთავრობის თავმჯდომარეთ იქნა არჩეული.

ნოე ჟორდანიას არასოდეს პარტიას არ უყურებდა, როგორც თვით მიზანს. არამედ პარტია მისთვის იყო საშუალება, ბასრი იარაღი ქართველი ერის კეთილდღეობის და ბედნიერების მოსაპოვებლად. და მართლაც, ნოე ჟორდანიას წინამძღოლობით და ხელმძღვანელობით საქართველოს სოციალდემოკრატია ჩვენი ქვეყანა სამი წლის განმავლობაში ანარქია-სამოქალაქო ომს გადაარჩინა და მის პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა; მოგვცა ახალი საქართველო, განსხვავებული არა მხოლოდ ჩვენი ძველი საქართველოდან, არამედ განსხვავებული სხვა ახალი პატარა სახელმწიფოებიდანაც და ყველა მათზე მაღლა მდგარი. ამას ერთხმად ამოწმებდნენ ის ევროპელები, რომლებიც საქართველოში მიდიოდნენ, მის ყოფაცხოვრებას სწავლობდნენ და მას სხვებისათვის სამაგალითოდ სახავენ.

საქართველოს სამი წლის დამოუკიდებლობის ხანა ნოე ჟორდანიას პრეზიდენტობით უთუოდ იქნება ერთი ბრწყინვალე ხანათაგანი ქართველი ერის ისტორიისა.

საქართველოს წითელი ჯარების მიერ დაპყრობის შემდეგ ნოე ჟორდანიას 32 წლის განმავლობაში ემიგრაციაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. რომ შევავროვოთ ყველა მისი

ნაწერები, რაც მას აქ წიგნებათ, ბროშურებათ, თუ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში წერილებათ გამოუქვეყნებია. ეს მისი ნაშრომი და ნამუშევარი რიცხვობრივად გაცილებით მეტია, ვიდრე მას ეს საქართველოში დასცალდა.

ემიგრაციაში მის მუშაობას სხვადასხვა ხასიათი ქონდა. პირველ ყოვლისა ის პირნათლად ასრულებდა იმ დავალებას, რომელიც მას, როგორც საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარეს, მისცა საზღვარგარედ გამომგზავრებისას დამფუძნებელ კრებამ—გაეწია უცხოეთში მუშაობა სხვადასხვა გზით და ფორმით და მოეპოვებია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ქართველი ერის თავისუფლება. მის მიერ გაწეულ ამ დიდ მუშაობას აქ არ ვეხებით, ეს სხვა დროს დაიწერება და დაფასდება.

აქაურ თავის მუშაობაში ნოე ქორდანი დიდ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე გაერკვია ევროპის სოციალისტებისათვის ბოლშევიზმის რაობა და შინაარსი, ნათელეყო მათთვის საბჭოთა რუსეთის იმპერიალიზმის ხასიათი. ამ მიზნით მას აუარებელი მემორანდუმები და წერილები აქვს დაწერილი სხვადასხვა სოციალისტური პარტიების, თუ სოციალისტური ინტერნაციონალისათვის. ყველა ამ ნაწერების დასკვნა ერთია: დაპყრობილი საქართველო უნდა იქნას უცხო ბატონობისაგან განთავისუფლებული და მისი თავისუფლება აღდგენილი.

მის საქმიანობაში და მუშაობაში აქ ნოე დიდ მნიშვნელობას აძლევდა ქართველ ხალხთან და სოციალდემოკრატიულ პარტიასთან მუდმივი კავშირი ქონებოდა. მისი მთავრობის, თუ ჩვენი აქაური პარტიული ორგანიზაციების უფლებების ემანაციათ ის საქართველოს სთვლიდა. ამიტომ ყოველთვის საქართველოდან მოსულ აზრს და ინფორმაციას განსაკუთრებით დიდ ანგარიშს უწევდა და მით ხელმძღვანელობდა. ქართველი ხალხის ცხოვრების და მდგომარეობის შესახებ მოსული ამბებით ის მაშინვე შესაფერისად სარგებლობდა და მათ ცნობათ ევროპიელებს აწვდიდა.

საქართველოში ის ხომ ლეგენდარული პიროვნება იყო. იქ მასზე ფიქრობდენ, მისი იმედი ქონდათ. მასზე ჩუმად ლექსებს სთხზავდენ და მღეროდენ. იქიდან მუდამ მის აზრს და დარიგებებს თხოულ ობდენ და ელოდენ. საქართველოდან მას განუსაზღვრელი ნდობის და სიყვარულის წერილები მოსდიოდა.

ნოე ქორდანი მეტად მკვირცხლი გონების და დიდი ნიჭის პატრონი ადამიანი იყო. სიტყვა მისი იყო ყოველთვის ნათელი და ლოღიკური, მოკლედ, სხარტულად თქმული და მეტად დამაჯერებელი.

წერა მისი იყო განსაკუთრებული უნარის და ნიჭის ნაყოფი. სტილი მისი საკუთარი და ინდივიდუალური, პროზა მისი ვითომც ლექსათ დაწერილი. მის ნაწერებიდან ერთ ფრა-

ზას ვერ ამოაგდებ, ზედმეტი აქ არაფერია, ყველაფერი თავის რიგზეა დაწყობილი. მანერა წერისა მას ქონდა თავისებური: წერის დროს ის იჯდა კალმით ხელში, ვით იარაღით მორთული, ტუჩები მაგრად ერთმანეთზე დაჭერილი, ერთი ყბა ცოტა ზემოთ შეწეული. წერა მისი მიდიოდა, როგორც ნაკადული. ის შავად არასოდეს არ სწერდა. კარნახი ეხერხებოდა ისევე ადვილად, როგორც წერა. მისი ნაწერების რვეულებიდან ათეულ გვერდებზე ორ-სამ სიტყვას შესწორებულს, ან წაშლილს ვერ ნახავთ.

ნოე უორდანი ამავე დროს მეტათ განათლებული მწერალი იყო. მისი 60 წლის მოღვაწეობის გამსწვრივ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში აუარებელი სახის და შინაარსის საკითხები წამოჭრილა. და იყო ეს კითხვები თეორიული, თუ პრაქტიკულ-პუბლიცისტური ხასიათისა, ქართველ სოციალდემოკრატებიდან ასეთ კითხვებზე უმთავრესად ნოე უორდანი სწერდა. მას არ უყვარდა თავისთავზე ლაპარაკი და სხვების წინაშე ცოდნის გამოჩენა, მაგრამ მისი ცოდნა ყოველთვის მის წერილებში, თუ წიგნებში სჩანდა.

ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისება ნოე უორდანიასი, როგორც პოლიტიკური მოღვაწისა იყო მისი პიროვნების სიძლიერე. არასოდეს კრიტიკულ მომენტში ის არ იბნეოდა. ყოველთვის გამოსავალს ეძებდა და იმედს არ კარგავდა. ის ოპტიმიზმით აღსავსე ადამიანი იყო. მისი ოპტიმიზმი გამომდინარეობდა მისი მაგარი ნებისყოფისაგან. ეს ნებისყოფა კი შექმნილ და გაკაჟებულ იქნა იმ ბრძოლების და დაულალავ მუშაობის პროცესში, რომელიც მას მისი ცხოვრების გრძელ მანძილზე ჩაუტარებია. ეს ოპტიმიზმი და ნებისყოფა მას შერჩა უკანასკნელ დღემდე, როცა ის უეცრივ და ყველასთვის მოულოდნელად გარდაიცვალა.

ხშირად კრებებზე რამოდენიმე საათით მსჯელობის დროს ნოეს სახეზე ვერ შეატყობდი ნალაპარაკევიდან რა მოსწონდა და რა არ მოსწონდა, რომელ აზრს იზიარებდა და რომელსა არა. კაცს შეიძლება ეფიქრა, რომ ის ნაკლები გრძნობის ადამიანი იყო და მას გრძნობის გამოჩენა ეძნელებოდა. ასეთი აზრი დიდად შემცდარი იქნებოდა. წინააღმდეგ, ის მეტად დიდი გრძნობების კაცი იყო, სხვანაირად არც შეიძლება. დიდი და რაინდული ეპოქის შვილი და წარმომადგენელი, ის სავსე იყო ძლიერი გრძნობებით და გატაცებით. მას საშინლად სძულდა ის, რასაც ბოროტებათ სთვლიდა და ებრძოდა და გატაცებით უყვარდა ის, რასაც სიკეთეთ რაცხდა და რისთვისაც იბრძოდა. გადაიკითხეთ კიდევ ერთხელ მისი ნაწერები და იქ ნახავთ, თუ რამდენი გრძნობა და ვნებაა ჩართული ყველა მის სტრიქონებში.

კერძო დამოკიდებულებაში და ცხოვრებაში ნოე მეტათ თავდაბალი და სასიამოვნო ადამიანი იყო. მკითხველო ახალგაზდებო, რომელნიც მასთან ხშირად სტუმრათ ყოფილხართ.

აბა, მოიგონეთ, როგორ მამაშვილურად ის თქვენ გეპყრობოდათ, ყველაფერს გამოგკითხავდათ, ყველაფერს გულდასმით მოგისმენდათ და უბრალოთ, სულ მეგობრულად ზემო სართულიდან კიბეებზე ჩამოგაცილებდათ და თვით კარებამდე მიგვყვებოდათ.

ქართველმა ერმა და 60 წლის განმავლობაში მის სამსახურში მყოფ საქართველოს სოციალდემოკრატიამ დაპყრობის დიდი მოღვაწე. დიდი ქართველი. ნოე ჟორდანიას ღირსეულად საქართველოს ისტორია დააფასებს.

საქართველოში მყოფი, თუ რუსეთის შორეულ კუთხეებში გაპნეული ჩვენი ამხანაგები, რომელნიც ნოეს გლოვას ვერ გაამხელენ და ვერ გამოაჩენენ, მას ჩუმათ სულით და გულით იგლოვებენ. საქართველოს სოციალდემოკრატიის წარმომადგენლობა უცხოეთში და ყველა ჩვენი აქაური ორგანიზაციები და მეგობრები დაობლებულნი მას ცხარე ცრემლებით დავსტირით, ყველანი კი ერთად მას დიდის სიყვარულით და მადლობით ვეთხოვებით.

კ. ჯ. ვერჯალაძე.

იანვარი 1953.

ჩ ვ ე ნ ი ბ ლ ო ვ ა !

საქართველოს მანათობელ ვარსკვლავს შავი სუდარა გადაეფარა, შეწყდა გულის ძეგრა დიდი ადამიანის, დიდი მებრძოლის. ქართველთა გული მწარე ნაღველით დაისერა, მოგვშორდა ხელმძღვანელი, რომელმაც სამოცი წლის მანძილზე საკუთარ მხრებზე ატარა ქართველი ერის სვე-ბედი. ბრძნული გამჭირიანობით უძღვებოდა იგი წინ და ერის საუკუნოებრივი ნატურა სინამდვილეთ აქცია. ქართველი ერის დაშლილი ნაწილები გაქედა. ევროპის საკაცობრიო იდეებით შეიარაღებული ენერგიულად შეუდგა მათ გათვითცნობიერებას.

რუსეთის სოც.-დემ. პარტიაშივე ნაციონალური საკითხის დასმით, ერთა თავისუფლების დაცვით მან მყვირალა ფრაზების გარეშე, უჩვენა გზა საკუთარ პარტიას საით უნდა წარმართულიყო მისი მოღვაწეობის სიმანვილე, მისი მუშაობის სიმძიმე. მებრძოლი ჯგუფები დარაზმა. სიყვარული შრომის და თავისუფლების შთაბერა, ახალ-ახალი ძალები სამოღვაწეო ასპარეზზე გამოიყვანა, ხალხის სამსახურში ჩააყენა. საიდუმლოებით ამზადა ქართველი ერი იმ დღისთვის, როცა შესაძლებელი იქნებოდა მისი დამოუკიდებელი ცხოვრების აღიარება, თავისუფლების დროშის აღმართვა. როცა საამი-სო პოლიტიკური პირობები შეიქმნა მასიურად დარაზმული და ორგანიზაციულად შეშუიძროებული სოც.-დემ. პარტიის რიგებში ახალ სახელმწიფოს ერთგულ დარაჯად და დამცველად დააყენა. მისი მარჯვე ხელი, მახვილი გონება და ბასრი

კალამი განახლებულ საქართველოს აღმშენებლობის ყოველ დარგში ტრიალებდა. თითოეულ დაწყებულ სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენას მიმართულებას აძლევდა, თითოეულ საქმეში ღრმა შინაარს სდებდა, რათა მყარე საფუძვალზე აგებულიყო სახელმწიფო ორგანიზმი. ერმა იგი შეიყვარა. მოხდა საქართველოსა და ნოე ქორდანია. განპიროვნება. მის მითითებანე საქართველოს 'შვილნი შემოსეულ მტერს ეკვეთენ. უსწორო ბრძოლაში დამარცხდენ, მაგრამ მათი თვალეზი ისევ ნოე ქორდანიას მიაპყრენ. მას ჩააბარეს ბრძოლა თავისუფლების დასაბრუნებლად. დიდმა ხელმძღვანელმა უცხოეთიდან განაგრძო ქართველი ერის უფლებების დაცვა. მისი ყოველდღიური ცხოვრება უცხოეთში საქართველოზე ფიქრით, მისთვის ზრუნვით იყო დატვირთული, იგი ცხოვრობდა საკუთარ მიწა-წყალს მოშორებულ; მისი სული და გონება კი დასტრიალებდა საქართველოს ყველა კუთხეებს, ფიქრობდა მის ბედზე, მის მომავალზე, მის დღევანდელ ტრალედიანზე...

ვისაც ბედნიერება ჰქონია დასწრებოდა ომის განმავლობაში მის საუბარს ამ მომწყვდეულ ასეულ ქართველ ახალგაზრდებთან იქ დაინახავდა თუ როგორი მამოძრავი გრძობებით უსმენდა თითოეულს, აძლევდა კითხვებს, გაბრწყინებული სახით მისჩერებოდა მათ, თითქოს სურდა მათ სახენჭ ამოეკითხა მომავალი საქართველო...

ყოველ-დღიურმა. შეუწყვეტელმა შრომამ უკანასკნელ წუთამდე ვერ მოდრიკა მისი რკინის ნებისყოფა; წელს, როცა «ჩვენი დროშა»-ს რედაქციაში პარტიის სადღესასწაულო ნომერს ვამზადებდით ჩვენი ძვირფასი ხელმძღვანელი თითოეულად არჩევდა დასაბეჭდ წერილებს. შენიშვნებს და დარიგებებს იძლეოდა. ნასიამოვნები იყო რომ პარტიის 60 წლის არსებობის აღსანიშნავათ შედგა გაერთიანებული კომისია პარიზში არსებულ ორივე ორგანიზაციებიდან, ამაში იგი ხედავდა სრულ გაერთიანების ნიშნებს და სიამოვნებას არ მალავდა...

18 იანვარს ახლო მეგობრები მისი დაბადების დღის აღსანიშნავათ ემზადებოდენ... ამ დღისთვის რედაქციაში მოდიოდა მოსალოცი წერილები, რასაც ვაცნობდით... მის ყურადღებას იპყრობდა ახალი ემიგრანტების წერილები. მაგალითად, ვენეცუელადან ახალგაზრდა პატრიოტები მას მხურვალე სიტყვებით ულოცავდენ და ასე ათავებდენ: «სწორეთ ეხლა გვესაუბროება გამჭრიახი ხელმძღვანელობა ჩვენი ოცნების საქართველოს განთავისუფლების მისაღწევათ. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი ძვირფასი მოხუცი პრეზიდენტი თავის ჩვეულო უნარით წინ გაუძღვება ქართველობას». მიუხედავადან მეორე ახალი ემიგრანტი დასძენს: «გისურვებთ კლავე გენახოთ ჩვენი ქვეყნის ცა-ფირუზ-ხმელეთ ზურმუხტი მოდუღუნე მტკვარი, რიონის ნაპირი, გულგადაღელილი ბედნიერი გლეხის ურმული საკუთარ ურემზე აღზევანს მიმავალი...»

ჩვენი სამშობლოს მეზობელ სახელმწიფოდან ქართველი ლტოლვილები თავის მგრძობიარე მოლოცვაში აღნიშავენ: «თქვენი დაბადების დღეს საქართველოში ქართულ ოჯახებში ჩუმად დაიღვწა სადღეგრძელო, ერთი-მეორეს უსურვებენ: «ჩვენი ნოე გამარჯვებული გვენახოს»-ო.

ზოგიერთ წერილების გაცნობას ველარ მოვწრო... ზემო გლოვით შეგვეცვალა, დღე სიხარულისა მწუხარებისგან მოზღვავებულ ცრემლთა დენამ დაფარა. ჩვენი ფიქრები გაიჭრა იქ წამებულ სამშობლოში, წინ წარმოგვიდგა გლოვის ლახვარით გულდათუთქული ქართველი დედის დატირება,—დიდი ქართველის დაკარგვაზე, რომლის სახელი, მტერმა ვერ შესძლო ქართველი ხალხისთვის შეეძლებოდა. დედა ქალაქის დიდ გამზირზე თავჩაქინდრული ქართველი ზიზღით შეხედვის უცხო ფარაჯაში გახვეულს, ქართველი ერის უბედურებით სახე-გაბრწყინებულს.

ვინმე მოხუცი ჩქარის ნაბიჯით გაექანება ჯალათებისგან მოპარულ სილვას საფლავეზე და ერთგული მეგობრის მობრძანებას ჩასძახებს; საქართველოსთვის წამებულ მის ერთგულ თანამშრომელთა მრავალ საფლავეებს მოივლის და ქართველი ერის წინამძღოლის მოსვენებას აცნობებს... დიახ მთელი საქართველო,—თუ უცხო ქვეყნებში ქართველობა გლოვის ცრემლებს დააფრქვევს; ობლად დავრჩით. მოგვშორდა ფიზიკურად, მაგრამ ის დარჩა ჩვენს შორის სულიერად. ჩვენს ბრძოლას წინ მიუძღვის—მისი გაბრწყინებული სახე, მისი ახოვანი, არწივისებური შემოხედვა გვეუბნება: «გვესახურეთ, აღზარდეთ, დაგიტოვეთ ჩვენი ბრძოლის მაგალითები, «ჩემი ნაწერები, მოვითხოვ თქვენგან მტკიცე რიგებით, ურყევად განაგრძოთ გზა ჩემ მიერ ნაჩვენები, დაბრკოლება ნუ შეგაშინებთ, გაჭირდება ნუ დაგაფრთხობთ»... დიახ! მისი ანდერძი 60 წლის განვლილი გზით არის ნაჩვენები. ჩვენ მივმართავთ იმ ახალგაზდობას და მათი სახით მთელ ახალ მებრძოლ ძალებს, რომელნიც ასე გულწრფელად ესალმებოდნენ მას და დღეს დასტირიან მის განშორებას,—შევასრულოთ მისი ანდერძი...

დევნისა და ტანჯვის დასასრული ახლოვდება და ჩვენ საყვარელ პრეზიდენტს შევხვდებით დედა-ქალაქში, რომლის ცხედარი შეანათებს იმ დიდ პანთეონში, სადაც დავით აღმაშენებელი, დიდი თამარი, შოთა, ილია და აკაკი მას დახვდებიან, შუაში ჩაისვამენ და ეტყვიან: «შენ იყავი დიდთა შორის უდიდესი, კეთილი იყვეს შენი მობრძანება». . . ჩვენ კი იქნობამდე მოსვენება არ გვიწერია, რათა ყველამ წვლილი შევიტანოთ ჩვენი ტანჯულ სამშობლოს გასანთავისუფლებლათ...

პ. ხარჯველაძე.

ქ ა რ თ ვ ე ლ მ რ ს.

საქართველოს ისტორიის ერთი ეპოქა დასრულდა.

ალარ არის ნოე ქორდანია: ადამიანი, ვის სიტყვას და საქმეს მთელი სამოცი წლის გასწვრივ უდიდესი ადგილი ეჭირა საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში; დიდი ქართველი, მატარებელი თავის ერის სუვერენობის, ემბლემა საქართველოს დამოუკიდებლობის და მისი შეუპოვარი დამცველი...

ჩვენ მის ახლობელ თანამშრომლებს, საქართველოს მთავრობის წევრებს, რომელთ ბედმა გვარგუნა მასთან ლტინში და ჰირში ყოფნა—ჯერ საქართველოს ბედნიერ დღეებში იქ მუშაობა და შემდეგ გადმოხვეწილობის მწარე ბედის აქ განხიარება—არ შეგვიძლია მისი განშორების ამ უხეხავს წუთში არ მივმართოთ ქართველ ერს, უსიტყვოთ და უცრემლოთ დღეს მწუხარებით მოცულს.

ქართველმა ხალხმა კარგად იცის, ვინ იყო ნოე ქორდანია; შაგრამ შეიძლება ზოგმა არ იცოდეს, რას აკეთებდა საქართველოსთვის იგი, უცხოეთში გადახვეწილი.

1921 წლის მარტში, როცა მრავალრიცხოვანმა საბჭოთა რუსეთის ჯარებმა, რამოდენიმე კვირის სისხლიან ბრძოლების შემდეგ, დასძლიეს მამაცურათ მებრძოლს ჩვენს ახალგაზრდა მხედრობას, საქართველოს უხეხავს ორგანომ, დამფუძნებელმა კრებამ, თავი მოიყარა უკანასკნელათ (1921 წლის 17 მარტს) ქ. ბათუმის თვითმართველობის დარბაზში და დაადგინა, რათა ქართველ ხალხს განეგრძო შეურიგებელი ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ, ყველა მისთვის ხელმისაწვდომ საშუალებებით; ხოლო სუვერენულ საქართველოს მთავრობა უცხოეთში გახიზნულიყო—ნოე ქორდანიას თავმჯდომარეობით და წევრთა შემოკლებულ რიცხვით—და იქ განათლებულ კაცობრიობის წინაშე დაეცვა საქართველოს უფლებები. ეზრუნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის.

ამნაირათ, თუ ჩვენში გაბატონდა ოკუპანტების ხიშტიოვანი გამაგრებული, საქართველოსთვის უცხო ხელისუფლება, ერის წინაშე აღჭურვილი საქართველოს ყრღუნული მთავრობა, ნოე ქორდანიას მეთაურობით, უცხოეთში გამოემგზავრა.

აქ ეროვნულ მთავრობის საქმე იყო უმთავრესად: საქართველოს საკითხის უცხოელებისთვის გაცნობა და საქართველოს უფლებების დაცვა ყოველგან, სადაც საოკუპაციო ხელისუფლება ქართველი ერის სახელით ლაპარაკს მოინდომებდა.

ძნელი საქმე იყო გასაკეთებელი, რადგან ვეროპაში ძველ ისტორიულ საქართველოს უფრო იცნობდნენ, ვინემ საქართველოს მე-19 და მე-20 საუკუნისას, რადგან მისი ვინაობა მთელი 120 წლის განმავლობაში გეოგრაფიულათ ისე, როგორც პოლიტიკურათ, გაითქვიფა რუსეთის იმპერიაში.

საერთაშორისო პრესა, საზოგადოებრივი ხასიათის ორ-

განიხაცეები. პოლიტიკურ პარტიათა ყრილობები. მშვიდობიანობის საერთაშორისო კონგრესები, პარლამენტები და მთავრობები, ნაციათა ლიგა—ყველა დაინტერესდა საქართველოს საკითხით მას შემდეგ, რაც უცხოეთში გახიზნული ეროვნული მთავრობა საბუთებით ხელში ააშკარავებდა რუსეთის ეგრეთ წოდებულ «მუშათა და გლეხთა» მთავრობის მიერ ჩვენში ჩადენილ ვერაგობას. მრავალი დადგენილება, სხვადასხვა ხასიათის აქტები პარლამენტების და მთავრობების, რევოლუციები საერთაშორისო კონგრესების და ნაციათა ლიგის მხარს უჭერდნ საქართველოს და პოპულიარულს ხდიდნ მის საკითხს მთელ მსოფლიოში.

ყველა ამ მუშაობის ცენტრში იდგა, საქართველოს საკითხის ყოველგან მიტანის და დასმის ხელმძღვანელი და ტონის მიმცემი ნოე ჟორდანიას იყო. იმის დიდი ავტორიტეტი ამაგრებდა ეროვნულ მთავრობის მუშაობას, ხელს უწყობდა მის ირგვლივ უცხოეთში გადმოსხვეწილ საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების შემოკრებას და სამავალითოთ ხდიდა ყველა ქვეყნების ემიგრაციისთვის საქართველოს ემიგრაციის დისციპლინას და ერთსულოვნობას მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თუ დროგამოშვებით პარტიათა წარმომადგენლებს შორის უთანხმოებას კჳონდა ადგილი და მათი თანამშრომლობა ირღვეოდა—თუმცა არა პრინციპიალურ, საქართველოს უფლებებისთვის ბრძოლის, არამედ ამ ბრძოლის განხორციელების ტაქტიკურ საკითხებში—ეროვნული მთავრობა იყო ის ორგანო, რომელიც ურყევად და უცვლელად იდგა თავის პოზიციანზე და ცდილობდა ამ პარტიულ უთანხმოებათა ვარეშე დარჩენილიყო.

ხანმა და განუწყვეტელმა შრომამ ემიგრანტულ ცხოვრების მძიმე პირობებში ნოე ჟორდანიას გამოგვაცალა. ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია, უდიდესი ჭრილობაა ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის. ვიცით, რომ ამ ამბის გაგონებაზე ფრთას შეისხამს მტერი და იმის გესლიანი ენა, ისედაც ღრმად დაკადილ. ქართველ ხალხის გულის-მოსაკლავათ ალაპარაკდება...

მაგრამ, ნუ ჩქარობს მტერი! საქართველოს თავისუფლების იდეა უფრო ძლიერია და უფრო ხანგრძლივი, ვინემ სიცოცხლე ცალკე ადამიანის. საქართველოს დამოუკიდებლობის დროშას ქართველი ერთ ძირს არ დაუშვებს, საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობას მუდამ ეყოლება დამცველი.

თავბა თავბას შესცვლის, მაგრამ სამშობლოს სიყვარული ისეთივე ძლიერი დარჩება ქართველ პოლიტიკურ ემიგრაციაში, როგორც არის სიყვარული თავისუფლების თვით ქართველ ხალხში. ობლად დარჩენილნი საქართველოს ეროვნულ მთავრობის წევრნი კარგად გრძნობენ იმ საქმის სიძნელეს, რომელსაც ისინი განსვენებულ ნოე ჟორდანიასთან ერთად ეწეოდნ. ისინი არც ახლა უღალატებენ იმ გზას, რო-

მლით 35 წელიწადია მასთან ერთად მიდიოდენ, და უკანასკნელ შესაძლებლობამდის არ დაზოგავენ თავის დარჩენილ ძალღონეს საქართველოს განმათავისუფლებელ საქმისთვის და იმ ნდობის გასამართლებლათ, რომლით ისინი აღჭურვილი იყვნენ. მათ ასულდგმულებს ის იმედი, რომ მათი მომყოლი თაობა და უცხოეთში აღზრდილი ახალგაზდობაც უფროს თაობის მიერ აღებულ გზას არ უღალატებენ.

თუ საქართველოს შესახებ უცხოეთში ახლა იმდენს არ ლაპარაკობენ, რამდენსაც წინად, ეს იმიტომ, რომ დღეს საქართველოს საკითხი განცალკევებულათ არ დგას; მისი ბედი არაეის აღარ აკვირვებს მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა საქართველოს მდგომარეობაში ჩააყენა ყველა მის ირგვლივ და მის მეზობლათ მობინავე ერები. ამიტომ არც განსაკუთრებულად გადაწყდება საქართველოს საკითხი.

საბჭოთა კავშირის აშკარა იმპერიალიტურმა პოლიტიკამ დიდ საგონებელში ჩააყენა მთელი თავისუფალი კაცობრიობა. «ხვალ ვისი რიგია»-ო, კითხულობენ თავისუფლათ დარჩენილი ერები. თმის შიმში შეიპყრო მთელი მსოფლიო. საბჭოთა კავშირის პოლიტიკამ იგი ორ მოპირდაპირე ბანაკათ გაყო. ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანს; ასე თუ ისე იგი მოწესრიგდება და ამაზედ არის დამოკიდებული ბედი ჩვენი პატარა ქვეყნის.

ჩვენი ცდა ახლა ის უნდა იყოს, რომ ამ დროს საქართველო—ეს პირველი მსხვერპლი საბჭოთა კავშირის მუხანათობის—დავიწყებული არ დარჩეს. საზოგადოებრივი აზრის მომზადება ამ დანიშნულებით, საქართველოს საკითხის გახსენება ყველასათვის, ვინც საერთაშორისო მდგომარეობის მოწესრიგებისთვის იქნება მოწოდებული, ჩვენი ხალხისთვის თავიდან აცილება იმ მსხვერპლის, მას შეიძლება საერთაშორისო გართულების დროს რომ მოელოდეს,—ყოველივე ეს არის ახლა ჩვენი ზრუნვის საგანი.

ჩვენ ვცდილობთ, რათა თანაგრძნობა, როგორც უცხო ქვეყნების, ისე თვით საბჭოთა კავშირში მოქცეულ ერების საქართველოსთან იყოს და ისინიც საქართველოს სამართლიან მოთხოვნისთვის ზურგს უმაგრებდენ. ხოლო სხვის დამეგობრებას ამ საქმეში ჩვენ მაშინ შევძლებთ, თუ თვითონ გამოვიჩინებთ სიმტკიცეს და ერთსულოვნობას ჩვენს მისწრაფებაში. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ხალხის გულში ღვივის მუდამ ცეცხლი ეროვნული თავისუფლების; ჩვენ მასთან ვართ სულღიერთ და 1918 წლის 26 მაისის აღთქმას არ ვუღალატებთ.

დავკარგეთ ჩვენი საქმის უდიდესი მოამაგე და ხელმძღვანელი. მაგრამ, სასოწარკვეთილებას არ უნდა ექმნეს ადგილი: ჩვენი საქმის სიმაკრე თვით ამ საქმის სამართლიანობაზე არის დამყარებული.

მ. შავეჭავაძე,
კ. კანდელაკი,
ა. ჩხენკელი.

20 იანვარი 1953 წ. პარიზი.

ნოეს გარდაცვალება.

შემოდგომაზე, აკვისტოს დამლევს, ნოე გახდა ავად. ავადმყოფობამ მიიღო ქრონიკული ხასიათი, მაგრამ არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა; შედარებით უკეთ გრძნობდა თავს ვიდრე წინა წლებში დაროგორც ყოველთვის. მუშაობდა ყოველ დღე ნორმალურადა.

შაბათს, 10 იანვარს, სადილს შემდეგ, ცოტა სიცივე იგრძნო, რაც მას ხშირად ემართებოდა, და მაშინვე მიიღო «ასპერინი».

8 საათზე ჩვეულებრივად ივახშმა. ავიდა ზევით თავის საწოლ ოთახში, ჩაწვა ლოჯინში და მშვიდად ჩაიძინა. მეც ადრე დაეწევი. ძილი არ მეკარებოდა, თუმცა არავითარი ცუდი წინაგრძნობანი არა მქონია. 12 საათზე შემომესმა მისი ხველა. რადგან ოთახის კარებს მუდამ შიგნიდან კლიტით კეტავდა, მე ვერ შევიდოდი ისე, რომ იგი არ ამდგარიყო და კარი არ გაეღო. იმის შიშით, რომ ლოჯინიდან ამდგარი კარების გაღების დროს არ გაციებულებოდა, მე აღარ შევაწუხებოდა კი თავისით ადგა და კარი გააღო, მე მაშინვე ავედი. ვნახე მწოლიარე გულალმა, ხველება აწუხებდა. მისი ასეთი ხველება პირველად არ მენახა და, როგორც სხვა დროს. საჩქაროდ დავადგი ბანკები. შემდეგ ჩავედი ქვევით, მოვამზადე «კატოლანში», ამოვიტანე და ბანკების მაგივრად შემოვადე ტანზე. მოუხარზე ცაცხვის ჩაი და ვფიქრობდი დილით 8 საათზე მომეწვია ექიმი, რომელიც ნოეს ხშირად არჩენდა ამ ხველებიდან. ჩემ მიერ მიღებულმა ზომებმა ნოე ცოტათი დაამშვიდა. დავაწვინეთ გვერდზე (მე მესმარებოდა დ. ჟორდანია. რომელიც ამ დროს ჩვენთან იყო) და თვითონვე მოისურვა ელექტრონის ჩაქრობა. ჩაეძინა. ჩვენ ფეხაკრეფით ოთახიდან გამოვედით. არ გაველო ნახევარ საათს, რომ კვლავ ხელახლა აუტყვდა ხველა. მაშინ კი გამოუძახე ტელეფონით ექიმს და ვთხოვე საჩქაროდ მოსულიყო. მიპასუხა, რომ ვერ შევძლებ მოსვლას, რადგან მე თვითონ ვარ ავადო და გვირჩია გამოგვეძახა მორიგი ექიმი კომისარიატიდან. დ. ჟორდანია გავგზავნე კომისარიატში. ნოე კვლავ გადმობრუნებულყო გულალმა და თვალბ დახუჭული ახველებდა. შევეცადე ცოტა თავი მალა ამეწევიინებინა; შეკითხვაზე პასუხს აღარ მძალევდა. პირიდან სისხლი წამოუვიდა. სისხლი მაშინვე მოუწმინდე. დაუწყე შინჯვა მაჯის, გულის ცემა ვერ შევინებე. შეშინებულმა სარკე მოვიტანე და მივადე პირზე; სარკეს არავითარი ნიშანი სუნთქვის არ დააჩნდა. ამ დროს მოვიდა ექიმიც. დახედა, გაშინჯა და სთქვა: «ყველაფერი გათავებულია». «ეს მეტად ლამაზი სიკვდილია»-ო. ხომ არ დავიგვიანეთ ბნო ექიმო?—«არა ქალბატონო» მიპასუხა მან. რით უნდა ავხსნათ მისი სიკვდილი? შევეკითხე.—სიკვდილი გამოწვეულია გულის



30265

გამო (embolie au coeur) ანდა ფილტვების ანთებით, რაც ხშირათ ემართებათ მოხუცებულებს»-ო.

მოვიდა ჩენი შვილი რეჯიბა, ის მაშინვე გავგზავნე ჩვენი სიძის ლევან ფალავას დასაძახებლათ.

დილის 2½ საათზე, კვირას, 11 იანვარს, ნოე აღარ იყო ცოცხალი. ოთხი დღის შემდეგ მას უსრულდებოდა 85 წელი. ორი დღე ესვენა თავის ლოჯინში; მისი ოჯახის წევრები მას გარს ადგნენ თვალცრემლიანი.

სამშობათს ჩაასვენეს კუბოში. სპეციალისტების თქმით, ამგვარ კუბოში ცხედარი მშვენივრათ შეინახება 25 წელიწადსო. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ნოეს აუსრულდება ნატვრა, რასაც ის თავის სიძეს ეუბნებოდა: «მე შინდა, რომ ჩემმა ხალხმა კიდევ ერთჯერ მიხილოს». დათიკო ჟორდანიათ სიტყვით, სიკვდილის წინ, სანამ გრძნობას დაკარგავდა, სულ ლანჩხუთს იგონებდაო.

იმევე დღეს კუბო ჩამოიტანეს ქვევით სასადილო ოთახში და ორი უკანასკნელი ღამე მას ადგნენ ახალგაზდობა საპატიო დარაჯებათ. ერთი მათგანი, ახალი ემიგრანტი—ლანჩხუთელი კარლო ამბობდა: «ბაბუა ჩემი იცნობდა ნოეს, მამა ჩემს ნახული ყავს და რომ იცოდნენ, რომ მე ნოეს კუბოს საპატიო დარაჯად უდგევარ და ვასრულებ ნოესადმი პატივისცემას, მათ მწუხარებას ეს ოდნავთ შინც შეუშეცირებს»-ო.

ვანვის კომუნაში ნოე სცხოვრობდა თავის ოჯახით 22 წელიწადი.

უკანასკნელ ხანს ხშირათ სიკვდილზე ფიქრობდა. მას ძალიან აინტერესებდა მისი დასაფლავება და თავის სიძეს ეუბნებოდა: «ჩვენმა პარტიამ უნდა გამოიკეთოს ისეთივე მტკიცე და მაგარი კუბო, როგორიც თვითონაა».

ერთი თვით ადრე სიკვდილის წინ ჩამოჯდა ჩემს გვერდით და მეტად სერიოზულათ მითხრა: «მთავარი საკითხია, სად დავიმარხები. მე არ შინდა ლოჯილში. რადგან შეიძლება იქიდან ქართველები წავიდნენ, მე შინდა დავიმარხო ქალაქში, აქ უკეთესად უვლიან საფლავებს»-ო. ფიქრობდა «პერლაშეს» სასაფლაოს შესახებ. მაგრამ შემდეგ ახრი ზეიცვალა და აირჩია ვანვის სასაფლაო. ერთჯერ ასმათთან ერთად ამ სასაფლაოს გვერდით გაიარა და სთქვა: «მე შინდა აქ დავიმარხო». ჩვენს სიძეს—ლევან ფალავას ეუბნებოდა: «არ დამადოთ საფლავზე მძიმე რამ ლოდათ, გააკეთეთ ისე, როგორც ლანჩხუთის ფიქრის გორაა—მწვანე ბალახით». როცა ამას ლაპარაკობდა ისეთი ცოცხალი, ჯანსაღი და ენერგიული სახის გამომეტყველება ქონდა, რომ ეს მისი ნალაპარაკევი ჩვენზე არ ახდენდა შთაბეჭდილებას. ყველა მისი ლაპარაკის დასკვნა იყო ერთი: მისი გვამი შენახულ იქმნეს ისე და იმ დრომდე, რომ შესაძლებელი იყვეს მისი ლანჩხუთში წასვენება.

მისი სურვილი ჩვენთვის ურყევეია.

0. ქ.

ქართველი გლეხის დღე.

(ნოე ქორდანიას დასაფლავება)

კვირას, 11 იანვარს, დილის სამ საათზე (პარიზის ახლოს), ქ. ვანეში გარდაიცვალა ჩვენი პრეზიდენტი ნოე ქორდანია.

თავზარდამცემი ამბავი მისმა ახლო მეგობრებმა უკვე იმ წუთში გაიგეს და მისი ბინისაკენ მიეშურებოდნენ. ის ახალ გადაცვლილი იყო, და თითქოს სძინავსო, სრულიად არ იყო შეცვლილი მისი მშვენიერი სახე.

სამწუხარო ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ პარიზს, ფრანგული გაზეთების სააგენტომ იმავე დღეს გადასცა ფრანგულ გაზეთებს ნოეს გარდაცვალება, მისი მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებით. საღამოს კიდევ ამერიკულმა სააგენტომ მთელ ქვეყნიერებას ამცნო საქართველოს პრეზიდენტის გარდაცვალება. მეორე დღეს კი ამერიკის, ბელგიის და გერმანიის რადიოებმა უფრო დაწვრილებითი ცნობები მიაწოდეს ამის შესახებ თავიანთ მსმენელებს.

გარდაცვალების დღესვე, ნაშუადღევს, შესდგა დაკრძალვის მომწყობი კომისია, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო ქართველი ემიგრაციის ყველა წრემ.

კომისია მაშინვე შეუდგა მუშაობას, აცნობა ყველას სამწუხარო ამბავი და მიცვალებულის ოჯახთან შეთანხმებით დასაფლავების დღეთ დანიშნა 15 იანვარი, დღე მისი დაბადებისა ახალი სტილით. თანახმად განსვენებულის ანდერძისა, დასაფლავებულზე არ უნდა ყოფილიყო არც ერთი გვირგვინი, არც ერთი ყვავილი, არც ერთი სიტყვა. დასაფლავება უნდა მომხდარიყო სრულიად უბრალოთ. განსვენებულის ეს სურვილი მტკიცეთ იქნა დაცული და საზოგადოებას წინდაწინ ეცნობა, რის გამო მრავალი გვირგვინების დაკვეთა შორეული ადგილებიდან გაუქმებული იქნა.

დღიდან გარდაცვალებისა, განსვენებულის ცხედარს, დღიან-ღამიანათ, მორიგეობით, თავს ადგა «სპატიო დარაჯი», შემდგარი ახალგაზრდა მეგობრებისაგან, მათ შორის ახალი ემიგრანტებიც. მესამე დღეს ქართულ ეკლესიაში გადახდილი იქნა პანაშვიდი, რომელსაც მრავალი ქართველი დაესწრო.

დასაფლავების დღეს, მიუხედავთ საქმის დღისა, როცა ლუკმა-პურისათვის ჩაბმულ ემიგრაციისათვის ძნელია განთავისუფლება, აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი დანიშნულ დროზე ბევრათ უფრო ადრე. გარდა ყველა წრის პარიზელი ქართველებისა, მრავლათ მოვიდნენ უცხო ერთა წარმომადგენლები, მეზობელ ერთა მოღვაწეები და სხ. ბელორუსიის რადის თავმჯდომარემ, ნიშნათ ღრმა პატივისცემისა, თან მოიტანა თავისი სამშობლოს ეროვნული დროშა და ქართულ დროშის გვერდით აღმართა.

განსვენებულის კუბოს ფარავდა საქართველოს დიდი-ეროვნული დროშა. ირგვლივ შემოკრებილნი იყვენ განსვენებულის ოჯახობა, ახლო თანამშრომელნი და უცხო ერების წარმომადგენელნი. აქ გამოსვენების წინ მამა ილიამ გადაიხადა მოკლე პანაშვიდი, მშვენივრად გალობდა ქალ-ვეთაგან შემდგარი ქართული გუნდი. პანაშვიდის შემდეგ მღვდელმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა ფრანგულ ენაზე, რის შემდეგ განსვენებული გამოასვენეს. მიუხედავად მოკლე გზისა, მთელმა პროცესიამ, ადგილობრივი ქალაქის თავის ნებართვით, გაიარა ვანვის უმთავრეს ქუჩებზე, რათა საშვალეება მიეცა ადგილობრივ მცხოვრებთათვის, უკანასკნელი მშვიდობით ეთქვათ, მათ შორის დიდხანს მცხოვრებ შორეული ქვეყნის პრეზიდენტისათვის, რომელსაც თითქმის ყველა იცნობდა. ამ ქუჩებზე ჩამწკრივებული იყო ქალი და კაცი, რომლებმაც ცხედარი სასაფლაოზე მიაცილა.

დიდი მონაწილეობა მიიღო დასაფლავების გარეგნულ წესრიგის დაცვაში ადგილობრივმა კომისარმა. კომისარმა ამავე დღესვე გასცა ბრძანება, რომ დასაფლავებამდე არც ერთი ავტომობილი არ გაჩერებულიყო დიდი ხნით მთელ იმ ქუჩაზე, რომელზედაც წოეს ბინა იყო, ხოლო დიდი საბარგო მანქანების მიმოსვლა სრულიად აკრძალა. დააყენა რიგს გარეშე მეთვალყურეთ თავის პოლიციელები, ხოლო დასაფლავების დღეს, ყველა იმ ქუჩებზე, რომელზედაც პროცესიამ გაიარა—საუცხოვო წეს-რიგი სუფევდა.

მთელი პროცესია, დაწყებული განსვენებულის ბინიდან, საფლავში ჩასვენებამდე, გადაღებულ იქნა ფილმით; კუბოში ჩასვენებამდე კიდევ გადაღებულ იქნა ორი სურათი, თავთან უდევს მისი უკანასკნელი შრომა «ჩემი წარსული», რომელიც შეიცავს მის ავტო-ბიოგრაფიასთან ერთად—ერთგვარ ანგარიშს თავის საზოგადოებრივი მუშაობისა და მოქმედებისა. ამ წიგნით დაასრულა განსვენებულმა თავის ხანგრძლივი უანგარო სამსახური თავის ქვეყნის მიმართ და ამ წიგნში თავი მოუყარა ყოველივე იმას, რაც მიაჩნდა საჭიროთ ეთქვა თავის მოქმედებათა ასახსნელათ თუ დასაცავათ, და რაც შეეძლო მოეთავსებია ერთ წიგნში.

საუბედურათ, ამ წიგნის ბეჭდვა გათავდა სწორეთ მისი გარდაცვალების დღეს, ამიტომ ედვა თავთან, სტამბიდან ახალ მოტანილი.

წავიდა ჩვენი დიდი მეთაური, გაგვშორდა ჩვენი დიდი პრეზიდენტი და მას თან გაჰყვა სრულიად განსაკუთრებული წრფელი მწუხარება და გლოვის სევდა ქართველი ხალხისა...

დასაფლავებაზე დასასწრებლათ სოშოდან ჩამოვიდა დე-ლეგაცია: ბ. ბ. ალ. შათირიშვილი, ილ. სალუქვაძე და ნიკო ორაგველიძე.

ქენევიდვიდან: ბ. ბ. ხარ. შავიშვილი და კიტა ჩხენკელი.

სამქიზრის დეპუტატი და წერილები.

ნოე ქორდანიას გარდაცვალების გამო მიღებულ იქმნა მრავალი სამქიზრის დეპუტატი და წერილები, როგორც უცხოელებისგან, ისე ქართველებისგან.

საგარეო საქმეთა მინისტრის მ-ნ გვგენ გვაგვაკორის სახელზე მიღებული იქნა:

ქან მარტენისგან (ყენევა). მილო (ყენევა). სოკოლოვსკი (ლონდონიდან). ამერიკულ კომიტეტის თავმჯდომარე სტივენსიდან (ნიუ-იორკი). ამერიკულ კომიტეტის წარმომადგენლისგან ევროპაში სვიფტი. გიორგი ალექსანდრისგან (მიუნხენი). საფრანგეთის ყოფილ მინისტრ ადრიან მარკესაგან. საფრანგეთის გენერალურ კონსულ პ. შასტანისაგან. საფრანგეთის ელჩ ქან ლეკუიერისგან. უკრაინელთა სახელით სტ. ვიტენსკისგან (ნიუ-იორკი). მთიელთა კოლონიისა და მისი ცენტრის სახელით: ნამიტოკი, კოსოკი, შამილი, ჯაბაგი და ბესოლტი. სომხეთის საბჭოს აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე სამუელისაგან. «თავისუფალ კავკასიის» რედაქციისგან მიუნხენი). აზერბაიჯანის დელეგაციის შეიხ-ულ ისლამისგან (მიუნხენი). აზერბაიჯანის ეროვნულ კომიტეტისგან (ხაჯიბეილისგან). უკრაინის ეროვნული საბჭოს აღმ. კომიტეტი—დოქტორანი და ანდრეევსკი. რასულ ზადე (ანკარა). ილია გოლდმანი (ნიუ-იორკი). ქალბატონი შევალდე (პარიზი). უკრაინის—პეტლიურას სახელობის ბიბლიოთეკის საბჭოსგან. იოსებ გობეჩია (პარიზი). ამერიკის უკრაინულ კონგრესის კომიტეტი. ამერიკის უკრაინული კონფერენცია შუმეიკო. ქართული ასოციაცია—თავმჯდომარე აბაშიძე, მდივანი კობახიძე (ნიუ-იორკი). ბელგიის ქართულ სათვისტომოდან. სპარსეთის ქართულ სათვისტომოდან. ქართული დემოკრატიული კავშირი (მიუნხენი). ზურაბ მაჩაბელისგან (თეირანი-სპარსეთი). კამპანიონი (თეირანი-სპარსეთი). მალალაშვილი (მიუნხენი). დავით სბირტლაძე (მიუნხენი) მიხეილ წერეთელი (მიუნხენი). გრიგოლ რობაქიძე (ყენევა). მეგობრების მონდობითობით—სანდრო კორძია. მოსე იმნაიშვილი (მიუნხენი. გერმანია). რაჟდენ არსენიძე (მიუნხენი). ანდრო გუგუშვილი (ლონდონი). ივანე და ალ. ნიკურაძეები (მიუნხენი). პატრი პიო. პატრი პეტრე (ისტამბული). გ. ნაკაშიძე (არგეტინა). ერ. რამიშვილი (ავსტრია). ბერლინის თანამემამულენი. სიმონ გეგელაშვილი (გერმანია). ფ. შარაძე (პარიზის საავადმყოფოდან). გრიგოლ ბერიძე (მაროკო-ისპანია). გივი გაბლიანი (ამერიკა). გრ. ჯ. შიბაია (მიუნხენი) ავთ. ურუშაძე. თედორე კალანდაძე, მამედ ხარაზი. მიშა ესივა, ვასილ როყვა. ილია ზედგინიძე (ისტამბული, თურქეთი) მ. კედია (ყენევა). კოსტა გუნია (ლიონი). კორქანია—მედიცინის დოქტორი (ჰამბურგი). დიმიტრი შალიკა-

შვილი, თინათინა ალშიბაია, ოთარ, მალხაზ და ნინო შალიკა-
შვილები (პეორია). ვენეცუელაში მცხოვრები ქართველობა.
მერაბიშვილი (სან ფრანცისკო). ვაბრიელ რემერან (პარიზი).
საქართველოს ელჩის აკ. ჩხენკელის სახელზე:

სუმბათაშვილი (ინგლისი). ქართული ასოციაციის თავ-
მჯდომარე ლევან დუმბაძისგან (ნიუ-იორკი). ვ. ტერმანასია-
ნისაგან (საფრანგეთი), ვენეცუელაში მყოფი ქართველები.

ქ-ნი ინა ქორდანიას სახელზე:

საფრანგეთის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის ედ-
უარდ ერიოსგან. პოლონეთის პრეზიდენტი ავ. ზალესკი (ლო-
ნდონი). გენ. ანდერსი (ლონდონი). ვანვის ქალაქის თავისგან
რენე-პლანე. ლონდონის ქართველ მხედართა ორგანიზაცი-
იდან. არგენტინის ასოციაციის სახელით თამარ პაპავა. მარ-
სელ ლივიანი (საფრანგეთი). სპარსეთის კოლონია. ლიონის
ქართველობა. ელ. ვაჩაძე (ბრიუსელი). ქ-ნი ხატისიანი. ხ. შა-
ვიშვილი (ყენევა). ა. ვაჩაძე (პარიზი). ექ. ყოროლიანი (საფ-
რანგეთი). კ. იმნაძე (ლონდონი). სოფ. აბანდონში (საფრანგე-
თში) მცხოვრები ქართველები. თამარ და აკაკი პაპავები (არ-
გენტინა). მედეა ურატაძე-გორდელაძე (პარიზი). მარიამ ჩო-
კავისა (პარიზი). ბერეკაშვილი (ბრიუსელი). ექ. ალშიბაია
(მიუნხენი). რუსუდანა სტურუა (ლონდონი). გორდელაძეების
ოჯახი (ოსლო. ნორვეგია). ირენი და თორნიკე ლალიძე (მად-
რიდი). ყაუხჩიშვილი (მილანი). ე. ყურული (პარიზი). სანდრო
მენალარი (ისტამბული). ექიმი ცინცაძე (აფრიკა). ნ. ნაკაშიძე
(არგენტინა). რასულ-ზადე (ანკარა). ნიკო იმნაიშვილი (ავსტრ-
ია). გრ. ბერიძე (ისპანია). ბერიძე. ალშიბაია (მაროკო). ი.
გოგოლაშვილი (საფრანგეთი). ნინო სალია (პარიზი). ელზა
ცომაია (ნიუ-იორკი). ვანო და ანა კობახიძეები (ნიუ-იორკი).
ვიტია (პარიზი). მარო რამიშვილი (ლონდონი). კარლო ინასა-
რიძე (პარიზი). ექ. დადიანი (პარიზი). ექ. მანუჩინი (პარიზი).
ე. დეკანოზი (აბონდანი. საფრანგეთი). შ. ელიგულაშვილი (პა-
რიზი). მიხ. ჩუბინიძე (პარაზი). ქ-ნი შელი (პარიზი). ვ. ანდრი-
ანი (ყენევა). ე. პერიე (ვანვი). ქ-ნი მარკიუსი (ვანვი). ქ-ნი
კოკე (პარიზი). ხანანაშვილი (პარიზი). ქ-ნი და ბ-ნი მაგილევ-
სკები. ნინო კონან დოილი (ვერსალი). დ. გაწერელია (მონტე-
კარლო). ცომაია, სინჯიკაშვილი (ნიუ-იორკი). ქ-ნი ჩერმოე-
ვი (პარიზი). სონა და თეო კედია (კლამარი). ვასილ გაბე (პა-
რიზი). ნინო და ბენო რამიშვილები (პარიზი). მამია ბერიშვი-
ლი (პარიზი). ენრი პონსოტ. ქ-ნი და ბ-ნი კაკიტელაშვილი.
რიმა. ლიალია ჩხეიძე-გრასმანი. ქ-ნი ლევინა (ლემან). ელზა
ცომაია (ნიუ იორკი).

ქართულ ეროვნულ კლბიტეტის სახელზე: ალიშინი, ამე-
რიკის კონგრესის უკრაინული კომიტეტი. (ამერიკა). შუმე-
კო, ამერიკის უკრაინული კონფერენცია. (ნიუ იორკი).

კ. ვვარჯალაძის სახელზე: სოციალისტურ პარტიების-
გან. სოციალისტურ ინტერნაციონალის თავმჯდომარე და

ინგლისის მუშათა პარტიის გენერალური მდივანი მორგან ფი-
ლიპსი. ინტერნაციონალის მდივანი ბრაუნტალი (ლონდონი).
ბელგიის მუშათა პარტია—გიუსმანსი. გოლანდიის მუშათა
პარტია—ფორკი (ამსტერდამი). შვეციის სოც.-დემ. პარტია
—მოლერი. საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის სახელით
ბრიუტელი. სომხეთის დაშნაკციუტუნის პარტიიდან სამუე-
ლიანი. ბრაკე (პარიზი). საფრანგეთში მყოფ უცხოელ ორგა-
ნიზაციების ფედერაციისგან. გ. ნაკაშიძე (არგენტინა). ტარა-
სი წულაძე (პარიზი).

საქ. სოც.-დემ. პარტიის სახ.-გარეთელ ბიუროს სახელზე:
გ. ნაკაშიძე (არგენტინა). ნ. იმნაიშვილი (ავსტრია). ექ. ანტ-
ჟორჟოლიანი (საფრანგეთი). ი. გეგენავა (სპარსეთი).

«ჩვენი დროსა»-ს რედაქციის სახელზე: ვალოდია გოგუ-
აძე. გიორგი წერეთელი და გრ. ურატაძის მიმართვა პარტი-
ულ ამხანაგებისადმი.

«მებრძოლი საქართველო»-ს რედაქციის სახელზე: რ.
ყიფიანი, ვ. დოლიძე, კ. რიქაძე (სოშო).

ბ-ნ ჩხატუას სახელზე: აბაშიძე, გაქონია. (ნიუ-იორკი).
გენ. ზაქარიაძის სახელზე: ქ-ნი და ბ-ნი კუკი.

ნიკო ურუშაძის სახელზე: მღვდელ-მთავარი ინგილო და
კაპიტანი გოგიჯანიშვილი. ქართველთა საზოგადოება ინგ-
ლისში.

რეჯკმ ეთრდანიას სახელზე: ირაკლი ბატონიშვილი (მა-
დრიდი). დ. ურატაძე (მიუნხენი).

მ. სტურუას სახელზე: ქუთათელაძე, კიკვიძე, თამარ კო-
ბიაშვილი (ლონდონი).

პ. ხარჯველამის სახელზე: ვ. ნანუაშვილი (ნიუ-იორკი).
ვენეცუელაში მცხოვრები ქართველები (ქ. კარაკასი).

საქართველო სოც.-დემ. პარტიის სახ.-გარ. ბიუროს.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის
სახლვარ-გარეთელი ბიურო უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს
ჩვენი ერის პრეზიდენტის ბატონ ნოე ჟორდანიას დაკარგვის
გაშო. საქართველოსათვის მებრძოლი ერი არასდროს დაივი-
წყებს განთავისუფლებულ სამშობლოს პირველ პრეზიდენტს
და მის წმინდა ანდერძს: ყოველი ქართველი, რაგინდ მიმარ-
თულებისა არ იყოს, უწინარეს ყოვლისა უნდა ემსახურებო-
დეს დატყვევებულ სამშობლოს განთავისუფლებას. უნდა
უდგეს დარაჯათ 26 მაისს და დახმარებას უწყევდეს ეროვნულ
მთავრობას.

ეს იყო ჩვენი ტრადიცია და ამ გზას მტკიცეთ გავყვებით
მომავალშიაც.

საქართველოს სოც.-დემ. პარ. სახ.-გარეთელ
ბიუროს დავალებით ავ. პაპავა.

საქარ. ხიფ.-დემკომცენტრალური პარტიის ბიუროც.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პარტიის კომიტეტის სახელით ვიზიარებთ თქვენს მწუხარებასა და თანაგრძობას გიცხადებთ პარტიის დიდი ლიდერისა და ხელმძღვანელის ნოე ჟორდანიას გარდაცვალებისა გამო.

გთხოვთ გადასცეთ ჩვენი თანაგრძობა ვანსვენებულის ოჯახის წევრებს.

საქართველოს ერ.-დემოკრატიული პარტიის
კომიტეტის თავმჯდომარე ვლ. პარტიძე.

საქარ. ხიფ.-დემ. პარტიის სახფ.-გარ. ბიუროც.

ჩვენი პარტიის პარიზის ორგანიზაციის კომიტეტი ცხარე ცრემლით დასტირის პარტიის უსაყვარლეს და უდიდეს მეთაურის, ქართველი ერის საამაყო ბელადის ნოე ჟორდანიას დაკარგვას.

ჩვენი ძვირფასი მეთაურის ფიქრი. ოცნება იყო ტყვეობაში მყოფი, ტანჯული ქართველი ერის სვებედი, მისი სახელოვანი პარტია.

უკანასკნელ წუთამდე იგი მედგოდა. დაულალავად იდგა ერის უფლების სადარაჯოზე. ჩვენ ვიყავით მოწმე მისი ყოველ-დღიური შრომის, რომელსაც იგი ეწეოდა ქართველი ერის უფლების დასაცავად. დღეს ქართველ ერთან ერთად ჩვენ ვგლოვობთ, მაგრამ ამავე დროს მის საფლავთან ფიცს ვსდებთ გათქვებული ენერგიით განვაგრძობთ ნოეს მიერ ნაჩვენებ ბრძოლის ვზას ჩვენი სამშობლოს გასანთავისუფლებლად.

საქ. სოც.-დემ. მ. პარ. პარიზის ორგ. კომიტეტის
თავმჯდომარე ვ. ჩუბინიძე.
მდივანი ვრ. მღვიმეძე.

ნოე ჟორდანიას გარდაცვალების გამო საგანგებო სამ-
გლოვაციო განცხადება გამოქვეყნებ:

გარდაცვალებულის ოჯახობამ,

საქართველოც გრძნული მთავრობის წევრებმა,

ეროვნული საბჭოც აღმასრულებელ კომიტეტმა,

პარიზის ქართულ სათვისტომოც გამგებამ.

პარიზის სოციალდემოკრატიული ორგანიზაციის კომი-
ტეტმა და გაერთიანებულ სოციალდემოკრატიულმა ორგა-
ნიზაციამ,

დამკრძალავ კომისიამ,

საქართველოც სოციალდემოკრატიულ პარტიის სახფ.-
გარეთელმა ბიუროც.

სამგლოვიარო დღე სხვადასხვა ქვეყნებში.

მიუნხენი (გერმანია).

31 იანვარი დარჩება დაუეიწყარ დღეთ გერმანიაში მცხოვრებ ქართველთა ხსოვნაში. ამ დღეს ადგილობრივმა ქართველთა კოლონიამ და აქ არსებულმა ქართველთა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა შეთანხმებულად მოაწყვეს მიუნხენის თვითმართველობის ისტორიულ დარბაზში სამგლოვიარო დღე, ახლად გარდაცვალებული საქართველოს მეთაურის და პრეზიდენტის ნოე ყორდანის ხსოვნის აღსანიშნავად.

სრულ სამ საათზე დარბაზი მოწვეული სტუმრებით გაივსო. მოსულთა შორის იყვნენ: გერმანიის ფედერაციული და ბავარიის პარლამენტების დეპუტატები, მიუნხენის თვითმართველობის საბჭოს წევრები, გულზე ყვითელ ჯაჭვებით, გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიის დელეგატები, ლტოლვილთა სამინისტროს რწმუნებულები, ამერიკულ და ბელგიის საკონსულოებიდან წარმოგზავნილი პასუხისმგებელი მოხელეები, ამერიკულ კომიტეტის რწმუნებული. უკრაინულ რადის ეგზეკუტივის შთელი შემადგენლობა დ-რ ბარანის მეთაურობით, გერმანიაში არსებულ პოლიტიკურ თუ ეროვნულ ორგანიზაციების რწმუნებულები, ამერიკულ კომიტეტთან მომუშავე საკოორდინაციო ცენტრი პროფ. მელ-გუნოვის მეთაურობით, ABN-ი (ანტიბოლშევიკური ფრონტი ხალხებისა) და «კავკაზ»-ის ჯგუფი.

წარმოდგენილი იყო აგრეთვე პრესა, როგორც გერმანული, ისე ემიგრანტული და ბავარიის რადიო-სადგური.

დარბაზი მორთული იყო საქართველოს დროშით და ღერბით. შუა კედელზე ჩამოკიდებული იყო დიდი გვირგვინი-გერმანიის სახელმწიფო ფერების ლენტზე წარწერით, წარმოგზავნილი გერმანიის სოც.-დემოკრატიული პარტიის მიერ. გვირგვინის წინ მაგიდაზე იდგა განსვენებულის დიდი სურათი, რომელიც იპყრობდა საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას.

მუსიკალური ნაწილის შესრულების შემდეგ სამგლოვიარო სხდომას ხსნის ბ. გიორგი მალალაშვილი, რომელმაც სტუმრების მისალმების შემდეგ, მოუწოდა დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი ეცათ განსვენებულის ხსოვნისათვის.

მთავარ მომხსენებლად ნოე ყორდანის პიროვნების დასახასიათებლად გამოვიდა განსვენებულის პატივცემელი და მგობარი მოხუცი მიხეილ წერეთელი, რომლის მოხსენება საზოგადოებამ დიდი ყურადღებით მოისმინა. შემდეგ ილაპარაკა ნოე ყორდანის მთავრობის ყოფილმა წევრმა რაქდენ-

არსენიძემ, რომელმაც თავისი სიტყვა დააბოლოვა ასე: «საქართველო იყო დამოუკიდებელი და იქნება დამოუკიდებელი».

უცხოელებიდან პირველად ილაპარაკა გერმანიის სოც.-დემოკრატიული პარტიის სახელით, ბავარიის პარლამენტის დეპუტატმა ვ. ტიმემ, რომელმაც თავის ფრიად საინტერესო და ღრმა შინაარსიან სიტყვაში შეეხო რა საქართველოს ისტორიულ განვითარებას ძველ დროიდან.—დასძინა, რომ საქართველოს დიდ შვილს ნოე ჟორდანიას—ბედმა არგუნა მთელი რიგი ქართველთა თაობების მისწრაფება—საქართველოს სუვერენულ უფლებების აღდგენა—1918 წელს სისრულეში მოეყვანაო...

ბ. ტიმეს შემდეგ ილაპარაკეს საკოორდინაციო ცენტრის სახელით ბ. ნიკოლაევსკიმ, ლტოლვილთა სეკრეტარიატის რწმუნებულმა Dr. Priler-მა, უკრაინული რადის წარმომადგენელმა მინისტრმა ანდრეევსკიმ, გერმანიაში არსებულ ლტოლვილთა ცენტრალური კავშირის პრეზიდენტმა პოლონელმა სუხანე-სუხეცკიმ, კახაკთა ხელმძღვანელობის სახელით—ბ. ნიკოლაევმა, უკრაინულ სოციალისტურ პარტიის დელეგატმა—ინჟ. დოვგალმა, აზერბაიჯანულ სოციალისტურ პარტიის სახელით შეიხ-ულ-ისლამოვმა, კავკასიელები სახელით—ვაჩე აბეგიანმა და რევოლუციის ხანაში თბილისში ნაცხოვრებმა რუს მოღვაწემ კ. კროშიადმა, რომელმაც აღნიშნა, თუ რა დიდ იმედს ამყარებდა ქართველი ერი ნოე ჟორდანიასზე იმ ხანებში...

დაბოლოს ილაპარაკა ნიკო ნაკაშიძემ, რომელმაც თავის მჭერმეტყველურად წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ ნოე ჟორდანია ჯერ კიდევ 1915 წელს იყო ცნობილი ქართველი ერის მეთაურად და ხელმძღვანელად; და დასამტკიცებლად მოიყვანა ერთი მაგალითი: როდესაც საქართველოში გარდაიცვალა ერთი უდიდესი ქართველი პოეტი (მხედველობაში ყავდა აკაკი) ყველა ქართველმა პარტიებმა და საზოგადო ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს პოეტის საფლავზე დაედევათ მხოლოდ ერთი გვირგვინი ქართველი ერის სახელით. ვინ უნდა ყოფილიყო ის ბედნიერი, რომელსაც ერის სახელით მიენდობოდა ამ მისიის შესრულება? ამ შემთხვევაში ყველას ფიქრები იყო მიპყრობილი ნოე ჟორდანიასკენ.—და მართლაც, ერის სახელით მას დაევალა ეს ფრიად საპატიო მოვალეობაო...

ნიკო ნაკაშიძის გამოსვლით დამთავრდა სიტყვების წარმოთქმა. შემდეგ თავმჯდომარე აცნობს საზოგადოებას მოსულ სასამქიმრო წერილების შინაარს...

სამგლოვიარო წერილები გამოგზავნეს: გერმანიის ფედერატიული და ბავარიის პარლამენტების პრეზიდენტებმა ბ.ბ. Dr H. Heler-მა და Dr A. Hundamer-მა, ბავარიის პარლამენტის ყველა ფრაქციებმა, ბავარიის მინისტრ-პრეზიდენტის

მოადგილემ და შინაგან საქმეთა მინისტრმა Dr Houder-მა, სტატსეკრეტარმა Dr Oberlander-მა, მიუნხენის ქალაქის მოურავმა Th. Wimmer-მა, ამერიკულ გენერალურ კონსულმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტოკოლის შეფმა ბარონ Herwart-მა და სხვ...

დასასრულ მუსიკა ასრულებს ჰენდელის ლარგოს და საზოგადოება ნელ-ნელა სტოვებს დარბაზს...

ბავარიის რადიო-სადგურმა იმ საღამოსვე გადასცა სამგლოვიარო სხდომის ანგარიში. საერთოდ კი სამჯერ იყო გადაცემული რადიოთი ცნობა ნოე უორდანიას გარდაცვალების შესახებ. აგრეთვე შესაფერი ცნობები სამგლოვიარო სხდომის შესახებ იყო მოთავსებული, როგორც გერმანულ, ისე ემიგრანტულ პრესაში...

უცხოეთში—ბავარიის დედა-ქალაქში—მართლაც ღირსეულად ჩატარდა ეს ჩვენი ეროვნული გლოვის დღე (ამას სტუმრებიც კი აღნიშნავდნენ) და ამას უნდა უმადლოთ, პირველად ყოვლისა, ჩვენ სტუმრებს და განსაკუთრებით კი გერმანულ მეგობრებს, რომელთაც თავისი აქტიური მონაწილეობით ამ საქმის მოწყობაში—კიდევ ერთჯერ აშკარად გამოამჟღავნეს თავისი სიმპატიები ქართველი ერის მისწრაფებისადმი—იყოს თავის-თავის პატრონი.

დარწმუნებული ვართ, მონობისაგან განთავისუფლებული ქართველი ერი თავის დროზე მადლობას მიუძღვნის ყველა მათ, ვინც მის ტყვეობაში ყოფნის დროს მას არ ივიწყებდა და ექომაგებოდა.

აღსანიშნავია, რომ ამ სამგლოვიარო სხდომაზე წარმოდგენილნი სხვადასხვა ორგანიზაციები—თავის დღიურ მუშაობაში ხშირად ერთიმეორის წინააღმდეგ სასტიკად დაპირისპირებულნი—ამ დღეს გაერთიანებულნი თავის გრძნობებში ჩვენი დიდი მიცვალებულისადმი, შეიკრიბნენ დარბაზში მისი ხსოვნის პატივსაცემლად და სადიდებლად...

ქართველობა კი გაერთიანებული ამ ეროვნულ გლოვაში, ვიმედოვნებთ მომავალშიაც ქართველი ხელმძღვანელობის ირგვლივ დარაზმული. შეერთებული ძალებით განაგრძობს იმ დიად საქმეს, რომელსაც განსვენებული ასე თავგამოდებით ემსახურებოდა თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე...

აღ. კორძაია.

ბ ე ჯ ბ ი ა .

ბელგიის რადიო სადგურმა მეორე დღესვე გადასცა ცნობა თავის მსმენელებს საქართველოს პრეზიდენტის ნოე უორდანიას გარდაცვალების გამო, მოკლე ბიოგრაფიით. ყველასოციალისტურმა განეთმა და ბევრმა არასოციალისტურმა—უძღვნეს წერილი განსვენებულს და მის მოღვაწეობას. ზოგმა სურათიც მოათავსა. სოციალისტური პარტიის ცენტრალურ

ორგანო «Le Peuple»-ში მოთავსებულია ჩვენი თანამემამულე მარკ იბერეს ვრცელი წერილი განსვენებულის პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ.

ლ ო ნ დ ო ნ ი.

19 იანვარს, ქართველთა საზოგადოების გამგეობის თაოსნობით გადახდილ იქნა პანაშვიდი განსვენებული ნოე ჟორდანიას შესახებ, რომელსაც ასამდე ქართველი დაესწრო. ამ პანაშვიდის შესახებ პოლონური გაზეთი «დზენნიკ პოლსკი» (№ 13) გამომოკვეცეს შემდეგ: «პანაშვიდი გადაიხდა პოლონეთის მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის მიტროპოლიტის თანამდებობის აღმასრულებელმა ემიგრაციაში, ეპისკოპოსმა მათემ, მშვენიერი გუნდის და დიდძალი საზღვდლოების თანამსახურებით. პანაშვიდს დაესწრო პოლონეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი მინისტრი ი. სტაჟევსკი და დიდძალი პოლონური საზოგადოება. დაესწრენ კავკასიის ერების წარმომადგენელი: ჩერქეზები, ოსები, ჩრდილო-კავკასიელები, უკრაინის წარმომადგენელი ბატონი ა. ბონდაროვსკი და სხ.»

ნეკროლოგი და მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მოთავსებული იყო მთელ რიგ გაზეთებში. როგორც ინგლისურ, ისე ემიგრანტულში.

ა მ ე რ ი კ ა.

ამერიკის რადიო «ხმა ამერიკისა»-მ მეორე დღესვე ამცნო ყველა ქვეყნებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას გარდაცვალება. ბევრმა ამერიკულმა გაზეთებმა მოათავსეს ბიოგრაფიული ცნობებთან ერთად საკმაოდ ვრცელი წერილები განსვენებულის მოღვაწეობის შესახებ. განსაკუთრებით კარგი წერილი უძღვნა გაზეთ «ტაიმს»-მა. დაიბეჭდა მთელი რიგი წერილებისა მოგონების სახით, სხვადასხვა ეროვნების ცნობილ მოღვაწეთაგან ემიგრანტულ რუსულ, პოლონურ, სომხურ, უკრაინულ და სხვა გაზეთებში.

ადგილობრივი ქართული კოლონიის გამგეობამ არ დაიშურა შრომა, რომ თავის სამშობლო ქვეყნის პირველი პრეზიდენტის გარდაცვალება ღირსეულად ყოფილიყო აღნიშნული. პირველ ყოვლისა გადახდილ იქნა პანაშვიდი ბერძნულ ეკლესიაში, რომელსაც გარდა ქართველებისა, დაესწრენ სხვა ერების ბევრი პასუხისმგებელი წარმომადგენელი. პანაშვიდის შემდეგ ბერძნული ეკლესიის უმაღლესმა პირმა მიხაელმა წარმოსთქვა ინგლისურ ენაზე სიტყვა, რომელშიდაც მშვენიერად დაახასიათა ქართველი ერი და მისი პრეზიდენტი.

25 იანვარს, ქართველთა კოლონიის გამგეობამ სასტუმრო «კომადორ»-ში მოაწყო სამოქალაქო პანაშვიდი, რომელსაც დაესწრენ: სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილო-კავკასიის,

უკრაინის, ლატვიის და პოლონეთის ელჩი ბ-ნი ლიპსკი (წარმომადგენელი პოლონეთის ეროვნული მთავრობის), ბ-ნი გრაბიკი (ეროვნული საბჭო) და ბ-ნი კორბინსკი (პოლონეთის პოლიტიკური ცენტრი ამერიკაში) და სხ.

სამგლოვიარო სხდომა გახსნა ბ-მა გიგო დიასამიძემ. შემდეგ ილაპარაკა ინგლისურ ენაზე ბ. ზ. კვიციანიშვილმა. მას შემდეგ სომხების წარმომადგენელმა ბ. არაგონიანმა, პოლონეთის წარმომადგენელმა გრაბიწმა, სხვა ერების და ბოლოს ილია გოლდმანმა. ყველა ორატორები დიდის პატივისცემით იხსენიებდნენ განსვენებულს და მწუხარებით აღნიშნავდნენ მის განშორებას ასეთ დროს.

ამ პანაშვიდის შესახებ პოლონური გაზეთი «დ. პოლ.»-ში (№ 25) მოთავსებულია წერილი სათაურით: «სასიქადულო მაგალითი ნიუ-იორკის პოლონელების». ამ «სასიქადულო მაგალითს» გაზეთი ხედავს იმაში რომ ნ. ყორდანიას სამოქალაქო პანაშვიდზე ნიუ-იორკში პოლონელ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ცალ-ცალკე კი არ ილაპარაკეს, არამედ მიანდვეს ერთ პირს, ბ-ნ გრაბიკს, ელაპარაკა განსვენებულის შესახებ მთელი პოლონელი ერის სახელით. გაზეთი დიდის კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ამ დიდი ქართველის პატივსაცემლათ ყველა ჩვენი პოლიტიკური მიმართულებანი ერთხმად და ერთსულოვნად გამოვიდნენ. რასწავსკის მოწოდების შემდეგ ეს პირველათ ხდება ჩვენი პოლიტიკური პარტიების შეერთებული გამოხველა საერთაშორისო ასპარეზზე და ეს «სასიქადულო მაგალითი» მოხდა დიდი ქართველის ნოე ყორდანიას გარდაცვალების გამო-ო და სხ.

ი ს ტ ა მ ბ უ ლ ი.

ქართულ ეროვნულ კომიტეტის წარმომადგენელი ოსმალეთში ს. მენალარი ინახულეს და თანაგრძნობა გამოუცხადეს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე ნოე ყორდანიას გარდაცვალების გამო ამერიკის საკონსულოდან ბ. ბ. რუხველტმა და პირსმა, პოლონეთის ყოფილმა კონსულმა კილიჩინკიმ, რუმინეთის ლეგაციის ყოფილმა მრჩეველმა პროფ. დეიჩემ, იუგოსლავიის კოლონიის წარმომადგენელმა ბ. დუმეზჩმა, ალბანეთის ნაც. კომიტეტის წარმომადგენელმა გაზიხანმა, რასულ-ზადეს ჯგუფის წარმომადგენლებმა სტამბულში—სელიმ-ზეიმ და მირზა ბალამ, მთის წარმომადგენელმა შამილმა და მამედ-გირეიმ. ბ. მენალარმა მიიღო აგრეთვე წერილობით თანაგრძნობა ამერიკის და ინგლისის კონსულებისაგან.

ისტამბულში არსებულმა ფრანგულ გაზეთ «ისტამბულ»-მა და თურქულმა «ჯუმურიეთ» მა ვრცელი წერილები უძღვნეს განსვენებულს. თურქულმა სააგენტომ რადიოთი გადასცა მეორე დღესვე ცნობა. სადაც ნოე ყორდანიას პიროვნებას ახსიათებდა ასე: «ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და დიდი

რევოლუციონური წარსულის მქონე, იყო შემქმნელი და ორგანიზატორი საქართველოს დამოუკიდებლობის, ხოლო წითელი ჯარების მიერ საქართველოს დაპყრობისა, გადმოხიზნული უცხოეთში, მთელი თავისი ენერგიით განაგრძობდა ბრძოლას მოსკოვის წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენათ»...

იქი დანვე. კვირას, 22 თებერვალს, ქართულ მონასტერში გადახდილ იქნა პანაშვიდი ნოე ჟორდანიას გარდაცვალების გამო. პანაშვიდს დაესწრენ იტალიელები, ფრანგები, ამერიკელები, პოლონელები, ჩეხები და მეზობელ ერთა წარმომადგენელინი.

პანაშვიდის შემდეგ მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა ფრანგულ ენაზე მამა პეტრემ, რომელშიც დაახასიათა ჩვენი პრეზიდენტი, როგორც დიდი ხუროთმოძღვარი ჩვენი ქვეყნის თავისუფლების, შემდეგ საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლის უდიდესი მეთაური.

ერების წარმომადგენლებმა უღრმესი სამძიმარი გამოუცხადეს ჩვენს წარმომადგენელს.

ყველა ადგილობრივმა გაზეთებმა უძღვნეს განსვენებულის ხსოვნას წერილები. განსაკუთრებით აღსანიშნავია «იენისობა» მოთავსებული ვრცელი წერილი, სადაც აღწერილია ნოე ჟორდანიას მოღვაწეობა და მოხსენებულია, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის მამამთავარი.

უცხოეთის შუახალ-გაზეთებიდან *)

ამაწლის 12 იანვრის ნომერში «ნიუ-იორკ-ტაიმს»-მა მხურვალე წერილი უძღვნა ნოე ჟორდანიას ხსოვნას, სადაც აღნიშნულია განსვენებულის წარსული მოღვაწეობა, მისი როლი დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოს დასაფუძნებლათ და უკანასკნელი მისი ბრძოლა ქართველი ერის თავისუფლების აღსადგენათ.

«ტეობერგერ»-ის კორესპოდენტი 15 თებერვლის ნომერში გრძობიარე სიტყვებით აღწერს ნოე ჟორდანიას დასაფლავების დღეს და აღნიშნავს მთელი ქართველობის გაერთიანებას—საქართველოს პრეზიდენტის საფლავზე.

ამერიკის უკრაინელ მშრომელთა ასოციაციის ორგანო «ნაროდნაია ვოლია» 22 იანვრის ნომერში აღნიშნავს: «დამოუკიდებელ საქართველოს პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას გარდაცვალების ცნობამ გამოიწვია უღრმესი მწუხარება უკრაინის სოციალისტურ პარტიის წევრებს შორის. ნოე ჟორდა-

*) მოგვყავს შემოკლებით.

ნიას პიროვნებაში ქართველმა ხალხმა დაპყარგა დიდი ხელმძღვანელი და მებრძოლი დამოუკიდებლობისათვის, ხოლო პროგრესიულმა კაცობრიობამ დიდი მოამაგე და შეუცვლელი მებრძოლი სოციალიზმისა და მშრომელი მასების—ნაციონალური ემანსიპაციისთვის მონობის უღლისგან, რომელიც რუსულ ბოლშევიზმა დაადგა თავისუფლების მოყვარულ ხალხებს»...

«ქურნალ დე ქენეე»-ში 14 იანვარს, საქართველოს დიდი მეგობარი ჟან მარტენი აცნობს მკითხველთ ნოე ქორდანიას პიროვნებას, იგონებს მასთან შეხვედრას საქართველოში ყოფნის დროს. აღნიშნავს ნოე ქორდანიას როლს დამოუკიდებელ საქართველოს შექმნაში, იმ უდიდეს შრომას, რომელსაც იგი ეწეოდა საქართველოს გასანთავისუფლებლათ და დასძენს: «გარდაიცვალა ნოე ქორდანია, მაგრამ საქმე, რომელსაც ის ღრმა მოხუცებულებამდე ემსახურებოდა მიიზიდავს ახალ დამცველებს, რომლებიც მისი მაგალითით გამხნეებულნი იბრძოლებენ თავის ქვეყნის განთავისუფლებამდე».

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო «პოპულერი» 15 იანვრის, ფართეთ აღწერს ნოე ქორდანიას წარსულ მოღვაწეობას, მის წარსულ ბრძოლებს და უკანასკნელ წუთამდე მის უდიდეს შრომას ქართველი ერის გასანთავისუფლებლათ.

წ ა რ ს უ ლ ი ღ ა ნ .

(ნოე ქორდანია ამიერ-კავკასიის გლეხთა მეთაური)

თბილისში არსებული ყველა რევოლუციონური ორგანოები შეთანხმდნენ, რაც შეიძლება საჩქაროთ მომხდარიყო ამიერ-კავკასიის გლეხთა ყრილობა. კავკასიის კომისარიატი ხარლამოვის თავმჯდომარეობით ეთანხმება ასეთ ყრილობის მოწვევას. ყრილობის მოწვევა მიიხდოდა თბილისის ხელმძღვანელობამ. ქართველობა დიდის ინტერესით მოელოდა, თუ როგორ ჩატარდებოდა აზერბაიჯან-სომეხთა შეხვედრა, ვინაიდან კავკასიის ამ ორ მეზობელ შორის თავიდანვე მტრული განწყობილება სუფევდა, ჯერ კიდევ არ იყო გამშრალი მათ შორის დანთხეული სისხლი, რასაც ადგილი ჰქონდა ბაქოში ჩვენი ორგანიზაციები დიდის მუყაითობით შეუდგენ ყრილობის მოგვარებას.


ყრილობა მოწვეულ იქნა 15 ივლისს 1917წ. ნიკიტინის ცირკში. მოვიდნენ აზერბაიჯანელები პატარ-პატარა ჯგუფებად. სომეხები გამოცხადდნენ უფრო დარაზმულობით ცნობილ დაშინაკელ ჯამალიანის მეთაურობით და მაშინვე დაიკავეს დარბაზის მარჯვენა მხარე. ამრიგად მარცხენა მხარეზე აღმოჩნდნენ აზერბაიჯანელები. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. ადგილიდან

დაიძრა აკაკი ჩხენკელი, როგორც კომისარიატის წარმომადგენელი. მას ჯერ კიდევ ენა არ დაეძრა, რომ სომხებმა და აზერბაიჯანელებს შორის ერთდამივე დროს ლაპარაკი შეიქნა. აკაკი ჩხენკელმა დაიწყო მისასალმებელი სიტყვა. ჩემი ყურადღება ისევ მიპყრობილია ამ ორ დაჯგუფებისაკენ. არ ვიცი რა მიზეზით აკაკი მაგიდაზე ადის, სიტყვას აგრძელებს და წინადადებას იძლევა თავმჯდომარე აირჩიონ. სომეხ-აზერბაიჯანელთა შორის ლაპარაკი ძლიერდება. ჩემს გვერდში იჯდა ლადო ახმეტელი, რომელმაც გადმომილაპარაკა: «ვიქტორ, აბა ერთი შეხედვით ანგელოზს თუ არ გავს». მარცხნივ მივიხედე. იჯდა ნოე, თავს ეხურა ჩალის ფერი ქუდი, ტანს ეცვა თეთრი «კიტელი»... ნოე მისჩერებოდა იმ ორ დაჯგუფებას, საიდანაც ლაპარაკი ისმოდა. უცებ იქეჭა ხმამ და ნოეს ირგვლივ გაჩნდნენ აზერბაიჯანელები, რომლებმაც აიღეს ხელში ნოე. მხრებზე შეისვეს, წაიღეს, დასვეს სათავმჯდომარო ადგილზე და დასძახეს: «იაშასუნ კარდაშ»-ო. ჩამოვარდა სრული სიჩუმე. არსიდან საწინააღმდეგო ხმა. საკმარისი იყო ნოეს ხელი გაეშვირა, რომ იგრილა ტაშმა. სომეხ-აზერბაიჯანელთა შორის თანხმობის სიომ ჩამობერა, ერთობა გაიქუდა. ნოეს ხელმძღვანელობით ყრილობა დამთავრდა სრულის სიმშვიდით და თანხმობით.

ვინ იქნება ისეთი ბედნიერი, რომელიც ამიერ-კავკასიის ერებს ასეთ ურთიერთ ნდობასა და სიყვარულს ჩაუნერგავს. აწ განსვენებულ ჩვენს ძვირფას ლადო ახმეტელს 1943 წ. ზემო-მოყვანილი ამბავი გავახსენე. ცოტათი შეწითლდა, იმ დროს თვითონ მწყრალათ იყო ნოესთან. მითხრა: «ამას წინათ ბერლინში აღ. ხატისოვი ჩამოვიდა. შეხვედრის დროს მან წერილი დასწერა ნოესთვის მისასალმებელი. მითხრა ხელი მოაწერეო. მეც მოვაწერე და აქედან მიხვდები შერიგებულ ვართ»-ო. ძლიერ მესიამოვნა. შეუძლებელიც იყო, რომ დიდი ნოე მის რომელიმე ძველ, მასთან მომუშავე ამხანაგს ასე ადვილად მიეტოვებინა... ლეონტი ქვიციანი.

მადლობის გამცხნავება.

ქ-ნი ჟორდანიასა და მთელი მისი ოჯახი გულითად მადლობას უძღვნის თავის თანამემამულეებს და უცხო მეგობრებს ძვირფასი მეუღლის, მამის და სიმამრის ნივთიერდანიას გარდაცვალების გამო თანამგრძობისთვის.



დაიბეჭდა და ახლო ხანში გამოვა გასასყიდათ

ნოე ქვიციანიას წიგნი

ჩ ე მ ი წ ა რ ს უ ლ ი

წიგნის შექნა შეიძლება შემდეგი მისამართით:

P. Sardjveladzé.

35, rue de l'Aude 35. Paris (14)